ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ეალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 115

ქალაქი ქუთაისი 18 მარტი 2020 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
30-ე სხდომის მოწვევის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26–ე მუხლის 1–ლი პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

მუხლი 1. მოწვეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდამეათე სხდომა მ/წლის 25 მარტს, 14.00 საათზე (სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი, რუსთაველის გამზირი N3).

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდამეათე სხდომაზე დასამტკიცებლად წარდგენილ იქნეს **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი ს** შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებასთან და ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების წესისა და გაფრთხილების ფორმის დამტკიცების შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ზვიად წაქაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის
სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებისა და შეფასების შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა
და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

3. ევროკავშირის ინიციატივაზე „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერთების შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მირზა მამასახლისი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი ირაკლი შენგელია